ოქმი:ო63. 63240652
თარიღი:07/03/2024

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს**

**განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა**

**კომისიის სხდომის**

**ო ქ მ ი N3**

ქ.სამტრედია 21 თებერვალი, 2024 წელი.

მიმდინარე წლის 21 თებერვალს ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი მელაშვილი.

**სხდომას ესწრებოდნენ:** ირაკლი მელაშვილი, გოჩა არველაძე, აკაკი მინაშვილი, ბადრი შენგელია, გიორგი ლეჟავა, გრიგოლ ჩიგოგიძე, ლელა ჩორგოლაშვილი, მარიამ ბარბაქაძე, ნუგზარ ჯამბურია, ტარიელ დვალიშვილი.

**მოწვეული სტუმრები:**

1. ა.(ა).ი.პ. საჭიდაო კლუბი ,,ფალავანი“_ს დირექტორი - ვეფვხია სტურუა.
2. ა.(ა).ი.პ. რაგბის კლუბი ,,ფენიქსი“_ს დირექტორი - გურამ ხუჭუა.

**დღის წესრიგი:**

1. ა.(ა).ი.პ. საჭიდაო კლუბი ,,ფალავანი“_ს 2023 წლის გაწეული მუშაობის შესახებ.

   **/მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/**

2. ა.(ა).ი.პ. რაგბის კლუბი ,,ფენიქსი“_ს 2023 წლის გაწეული მუშაობის შესახებ.

   **/მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/**

**3.** სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (10) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, კომისიის წევრთა (10) ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

სხდომის დასაწყისში კომისიის წევრებმა, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ლევან თედიაშვილის ხსოვნას.

***<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u>*** განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი მელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო ა.(ა).ი.პ. საჭიდაო კლუბი ,,ფალავანი"_ს 2023 წლის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

**ირაკლი მელაშვილი -** ანგარიშს წარმოგვიდგენს ა.ა.ი.პ. საჭიდაო კლუბ ,,ფალავანი"_ს დირექტორი ვეფხია სტურუა.

**ვეფხვია სტურუა** - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ,,ფალავანი" წარმოგიდგენთ თქვენი წერილის ნომერი:63-63240463 15.02.2024წელი. საპასუხოდ 2023 წლის გაწეული სამუშაოს ანგარიშს.

ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაოკლუბ ფალავანს 2023წლის 04 დეკემბრის Nგ-63.632333818 განკარგულების შესაბამისად კლუბს დაუმტკიცდა გეგმა 303.30 ათ. ლარი. ფაქტი 302.60ათ.ლარი. სხვაობა 0.70 ათლარი.

2023წლის განმავლობაში გავწიეთ ხარჯი : თანამდებობრივი სარგო 169,20ათ ლარი. მივლინება ქვეყნის შიგნით 13.35ათ ლარი. ოფისის ხარჯი 9.07ათ.ლარი. კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯი 57.10ათ.ლარი , წარმატებული სპორტსმენთა სტიპენდირების თანხა 27.75 ათ.ლარი, ჯილდო 3.86ათ.ლარი. არაფინანსური აქტივებიდან გაიხარჯა 18.134ათ.ლარი.

კლუბში ფუნქციონირებს ჭიდაობის 5 სახეობა: თავისუფალი, ბერძნულ/რომაული, ძიუდო, სამბო და ქართული. რომელშიც გაწევრიანებულია 290მდე მოსწავლესპორტსმენი, რომელთა საწვრთნელ-აღმზრდელობით საქმიანობას უზრუნველყოფს 17 მწვრთნელ-მასწავლებელი. მათ შორის 6 საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

2023წელს დაბა კულშის სპორტულ დარბაზში საჭიდაო კლუბმა ჩაატარა ტრაგიკულად დაღუპული ირაკლი ჯოჯუას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში 2012-13წ და 2007-09წწ-ში დაბადებულ სპორტსმენთა შორის, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 200მდე მოჭიდავემ. საჭიდაო კლუბ ფალავანში აღზრდილმა სპორტსმენებმა სხვადასხვა რანგის 60 მდე სამხარეო, რესპუბლიკურ და საერაშორისო ტურნირებში მიიღეს მონაწილეობა. მათ შორის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში სახეობების შესაბამისად 20 -მდე საქართველოს ჩემპიონატზე იასპარეზეს და შესაბამისად დაიკავეს სხვადასხვა საპრიზო ადგილები.

საქართველოს ჩემპიონატზე მოპოვებული მედლები სახეობების მიხედვით.

თ/ჭიდაობა-11(დიდები 4, 23-მ წლამდელები 2, ახალგაზრდები 2, ჭაბუკები 2,უმცროსი ასაკის ჭაბუკები 1).

ბ/რომაული ჭიდაობა-1(დიდები 1).

ძიუდო-1(დიდები1).

სამბო-4(დიდები 3,ახალგაზრდები1).

ქ/ჭიდაობა-1(უმცროსი ასაკის ჭაბუკები 1).

ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში დიდები-1(მესამე საპრიზო ადგილი). ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდები თავისუფალ ჭიდაობაში-1(პირველი ადგილი). მიღწეული წარმატებებიდან გამომდინარე 13სპორტსმენს დაენიშნა სტიპენდია შესაბამისად სპორტსმენთა შედეგების გათვალისწინებით.

კომისიის წევრებმა მიიღეს ზემოაღნიშნული ინფორმაცია და დადებითად შეაფასეს.

**ირაკლი მელაშვილი** - პირველ რიგში მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ვეფხიას წარმოდგენილი ანგარიშისთვის და მომავალშიც წარმატებები ვუსურვო მათ.

**ბადრი შენგელია** - მადლობა მინდა ვუთხრა კლუბის ხელმძღვანელობას, მწვრთნელებს, სპორტსმენებს გაწეული მუშაობისთვის და მიღწევებისთვის.

**დაადგინეს:** კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (10) ხმით ეთანხმება ზემოაღნიშნულს.

***<u>დღის წესრიგის I I საკითხთან დაკავშირებით</u>*** განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი მელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო ა.(ა).ი.პ. რაგბის კლუბი ,,ფენიქსი“_ს 2023 წლის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

**ირაკლი მელაშვილი -** ანგარიშს წარმოგიდგენთ ა.(ა).ი.პ. რაგბის კლუბი ,,ფენიქსი“_ს დირექტორი გურამ ხუჭუა.

**გურამ ხუჭუა -** მოგახსენებთ, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2023 წლის ბიუჯეტი შეადგენს 221300 ლარს. მიმდინარე წელს 12 თვის განმავლობაში ფაქტიურად გაწეული ხარჯი თანამდებობრივ სარგოზე გაცემული ხელფასის სახით შეადგენს 67480 ლარს, ხოლო ჯილდო/პრემიის სახით 875 ლარს. მოთამაშეებზე ხელფასის და პრემიის სახით გაიცა 102505 ლარი. საკანცელარიო საქონელზე 300 ლარი. სამედიცინო ხარჯმა შეადგინა 1999 ლარი. სპორტულ ინვენტარზე 2000 ლარი. მოთამაშეთა ტრანსპორტირებაზე 6333 ლარი. სპორტულ ღონისძიებაზე 23190 ლარი. სხვა საქონელი და მომსახურებაზე 2340 ლარი. მოთამაშეთა საცხოვრებელ იჯარაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 5000 ლარი. შენობა-ნაგებობის და მისი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯი (წყლის სისტემების მონტაჟი) 2000 ლარი. ელექტრო ენერგიის ხარჯმა შეადგინა 100 ლარი, ხოლო წყლის ხარჯმა 493 ლარი. არაფინანსურ აქტივებში არასაცხოვრებელი შენობების (გაზის და წყლის სისტემების გაყვანილობა მონტაჟი) ხარჯმა შეადგინა 3633,23 ლარი. აღნიშნულ მუხლში 2000 ლარის ვალდებულება გადავიდა მომავალ წელს რადგან აღნიშნული სამუშაოები ჯერ არ არის სრულად ჩაბარებული. შტატითდასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 7 კაცს, ხოლო მოთამაშეთა რიცხოვნობა 19 კაცს.

2023წლისგანმავლობაში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-მ საქმიანობა წარმართა სამტრედიის მუნიციპალიტეტში ვაჟებს შორის, მათ შორის, მოზარდ თაობაში, რაგბის განვითარების ხელშეწყობისა და გაუმჯობესების, მომავალი თაობის ჯანმრთელი და სწორი მიმართულებით განვითარებისა და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენის, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდისა და მისი დამკვიდრების მიზნით.

2022 წლის აგვისტოდან ,,რაგბის კლუბი ფენიქსი" მონაწილობას იღებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საქართველოს რაგბის კავშირი’’-ს ორგანიზებულ 2022-2023 წლების სეზონის საქართველოს შიდა ჩემპიონატში რეგიონალური ლიგის გუნდებს შორის და გუნდის დიდი წარმატებაა, რომ რეგიონალურ ლიგაში დავიკავეთ პირველი ადგილი.

,,რაგბის კლუბი ფენიქსში" დაკომპლექტდა ბავშვთა გუნდი. ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს ასაკობრივი გუნდი მონაწილობას იღებს არასამეწარმეო

(არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საქართველოს რაგბის კავშირი’’-ს მიერ ორგანიზებულ საბავშვო საფესტივალო ლიგის გათამაშებაში.

,,რაგბის კლუბი ფენიქსში" ბავშვთა გუნდის ჩამოყალიბება მიზნად ისახავს ერთის მხრივ, მომავალი თაობის ჯანმრთელი და სწორი მიმართულებით განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდასა და დამკვიდრებას, ხოლო მეორეს მხრივ, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენას, რომლებიც ჩაენაცვლებიან ამჟამად რეგიონალური ლიგის გუნდის მოთამაშეებს. გაიზარდა ბავშვთა რაოდენობა რაც ამჟამად შეადგენს 120 ბავშვს.

კომისიის წევრებმა მიიღეს ზემოაღნიშნული ინფორმაცია და დადებითად შეაფასეს.

**გიორგი ლეჟავა** - წარმატებები მინდა ვუსურვო კლუბს.

**ნუგზარ ჯამბურია** - მადლობა სრულყოფილი ანგარიშისთვის.

**დაადგინეს:** კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (10) ხმით ეთანხმება ზემოაღნიშნულს.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

***სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/***

ირაკლი მელაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი